ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №5074839

ნომერი: AR1767738

თარიღი : 15.08.2020

გაცემის თარიღი : 21.08.2020

გაცნობის თარიღი : 21.08.2020

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, ცოტნე დადიანის ქუჩა, N 47;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ელენა სოსინა პ/ნ 01011064476
- საქართველო, თბილისი, ისანი-სამგორის რაიონი, ტოლუჟის ქ., №56

ორგანიზაცია:

- შპს დეველოპმენტ გრუპ კოდი: 406155618

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ცვლილება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 05 ივნისის №4530154 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

ქალაქ თბილისისმუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისისმუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2020 წლის 15 აგვისტოს №AR1767738 განცხადებით მომართაელენა სოსინამ და მოითხოვა სამსახურის2019 წლის 05 ივნისის №4530154 ბრძანებაში ცვლილების შეტანა ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებთან დაკავშირებით.

სამსახურმა, საქართველოსზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათაშესაბამისად, შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომსამსახურის 2019 წლის 05 ივნისის №4530154 ბრძანებით შეთანხმდაქ. თბილისში, სექტორი ნაძალადევი, ცოტნე დადიანის ქუჩა, №47, ქალაქ თბილისშიც. დადიანის ქუჩა №49-ში არსებულმიწის ნაკვეთზე (ს/კ: №01.12.20.030.027), მრავალფუნქციური შენობის არქიტექტურული პროექტი. ამავე ბრძანების მე-2 პუნქტით დამკვეთსდაევალა სსიპ საგანგებო სიტუაციებისმართვის სამსახურის 2019 წლის 20 მაისის №MIA01901282354 წერილის შესაბამისად, ხანძარსაწინააღმდეგოსისტემების მოწყობა და მათი დაპროექტებისდოკუმენტაციის სსიპ საგანგებო სიტუაციებისმართვის სამსახურის მიერ განსაზღვრულ გონივრულვადაში, ამავე სამსახურში წარდგენა. ხოლო, სამსახურის 2019 წლის 18 სექტემბრის №4674600 ბრძანებით ზემოაღნიშნულმიწის ნაკვეთზე გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2019 წლის 18 სექტემბრიდან2022 წლის 18 მაისის ჩათვლით.

წინამდებარე განცხადებითგანმცხადებელი ითხოვს, ცვლილების შეტანას სამსახურის 2019 წლის 05 ივნისის №4530154 ბრძანებაში ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებთან დაკავშირებით, კერძოდ, საცხოვრებელ ფართობად 728.6 კვ.მ-ისნაცვლად 726.9 კვ.მ-ისდაფიქსირებას. განმცხადებელი ასევე განმარტავს, რომ წინამდებარე განცხადებაზეწარმოდგენილ -2,7 ნიშნულის გეგმაზე დამატებით დატანილ იქნა ავტოსადგომების ნუმერაციადა ფართობები, ასევე აღნიშნულ გეგმაზე მოინიშნასარდაფის ფართობი და შესაბამისად ითხოვსშესწორებული -2.7 ნიშნულის გეგმის ჩანაცვლებას.

სამსახურმა, განმცხადებლისმიერ წარმოდგენილი შეცვლილი ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები შეადარა შეთანხმებულ გეგმა - ნახაზებს და დაადგინა, რომსაპროექტო დოკუმენტაციაში არასწორად იქნა წარმოდგენილი ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები ფართობების არასწორი დაჯამების გამო, რაც შემდგომაისახა სამსახურის მიერ გამოცემულ ბრძანებაში. სამსახურმა ასევე დაადგინა, რომ -2.7 ნიშნულის გეგმაარ იცვლება, უბრალოდ მასზე ხდება ფართობების დაზუსტება. სამსახურმა ასევე დაადგინა, რომ საცხოვრებელი ფართობისცვლილებასთან ერთად იცვლება საერთო ფართობი და იგი შეადგენს5036 კვ.მ-ს.

საჯარო რეესტრისამონაწერის მიხედვით (განცხადების რეგისტრაცია: №882019777706; მომზადებისთარიღი: 20/09/2019 წ.) ქალაქ თბილისში, ცოტნე დადიანის ქუჩა №47-ში, №01.12.20.030.027 საკადასტრო კოდითრეგისტრირებული მიწის ნაკვეთის მესაკუთრეს წარმოადგენს შპს ,,დეველოპმენტ გრუპ'' (საიდენტიფიკაციო ნომერი: 406155618). მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრის ამონაწერის მიხედვით შპს ,,დეველოპმენტ გრუპ''-ის ხელმძღვანელობა/წარმომადგენლობაზეუფლებამოსილ პირს წარმოადგენს ელენასოსინა, შესაბამისად დგინდება განმცხადებლის უფლებამოსილება.

საქართველოს ზოგადიადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანისუფლება აქვს მის გამომცემადმინისტრაციულ-სამართლებრივ ორგანოს. ამდენად, სამსახურმამიზანშეწონილად მიიჩნია განმცხადებლის მოთხოვნის დაკმაყოფილება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტისსსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტისარქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 05 ივნისის №4530154 ბრძანებაში ცვლილებისშეტანის თაობაზე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოსზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლისთანახმად,

ვბრძანებ:

1. შევიდეს ცვლილება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტისსსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტისარქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 05 ივნისის №4530154 ბრძანების ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში და საცხოვრებელ ფართობადდაფიქსირდეს 726.9 კვ.მ., საერთოფართობად 5036 კვ.მ.
2. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტისსსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტისარქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 05 ივნისის №4530154 ბრძანებით შეთანხმებული-I სართულის გეგმა (-2.70 ნიშნული) ჩანაცვლდეს წინამდებარე განცხადებაზე წარმოდგენილი ამავე სართულის გეგმით.
3. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტისსსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტისარქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 05 ივნისის №4530154 ბრძანება დანარჩენნაწილში დარჩეს უცვლელი.
4. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტისსსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტისარქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 05 ივნისის №4530154 ბრძანებასთან ერთად.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტისმერთან (მის. ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7), კანონმდებლობით დადგენილიწესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
" თბილისის არქიტექტურის სამსახური"
საქართველო, თბილისი 0160 ჭ. შარტავას 7

ტელ. [+995 32] 272 22 22
ფაქს. [+995 32] 237 82 24
Info@tas.ge
უფრო მეტი - tas.ge